უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 14

2019 წ. „19“ 03

ქ. თბილისი

შპს საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2^1 პუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3^1 პუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის 1^1 პუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, 25^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ:400157904) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.
2. შპს საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტს შეეზღუდოს სტუდენტთა მიღების უფლება 3 წლით.
3. შპს საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 19 მარტის №4 სხდომის მეშვიდე ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საერთაშორისო სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტის შესახებ, ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის №1 ანქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე

მდივანი
ნინო ხოლუაშვილი

დანართი

	პროგრამების ჩამონათვალი რომლის განხორციელების უფლებაც აქვს დაწესებულებას					
	ფაკულტეტის დასახელება: ჯანდაცვის ფაკულტეტი					
№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციი სშესახებ	მიუთითეთ შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია	ინგლისური	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი (0906)	240	არააკრედიტებული	-
2	დიპლომირებული სტომატოლოგი	ინგლისური	დიპლომირებული სტომატოლოგი (090201)	300	არააკრედიტებული	-
3	დიპლომირებული სტომატოლოგი	ქართული	დიპლომირებული სტომატოლოგი (090201)	300	არააკრედიტებული	-